აკაკი გვარუციძე

სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციის მეთოდები

ინოვაციები ეკონომიკისა და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ლოკომოტივად გვევლინება, რომელთა შედეგების პრაქტიკაში დანერგვის გარეშე საზოგადოებრივი პროგრესი შეუძლებელია.

ინდუსტრიულად განვითარებულმა, ასევე დინამიურად განვითარებადმა ქვეყნებმა შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწიეს წარმატებული სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის და მისი რეალიზაციის მეთოდების შემუშავებით, ინოვაციურ _ ტექნოლოგიური საქმიანობით და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების თანამედროვე სისტემების გამოყენებით საზოგადოებრივი შრომის სტრუქტურაში ინტელექტუალური შრომის წილის ზრდით. ინოვაცია ლათინურიდან (innovatio-განახლება) წარმოშობილი საერთაშორისო მნიშვნელობის ტერმინია და ფართოდაა დამკვიდრებული თანამედროვე ლიტერატურასა და მეტყველებაში. იხმარება როგორც დამოუკიდებლად, ისე რიგი მონათესავე ცნებების აღსანიშნავად: „ინოვაციური საქმიანობა“, „ინოვაციური პროცესი“, „ინოვაციური პოტენციალი“ და ა. შ. დღემდე არ არსებობს მისი ერთგვაროვანი და ზუსტი განმარტება, რაზეც ნათლად მიუთითებს ის ფაქტი, რომ უკანასკნელ პერიოდში სიახლეთა დანერგვის პრობლემას სწვალობენ სხვადასხვა მკვლევარები, ფსიქოლოგები, ეკონომისტები და სხვები.

ინოვაცია მატერიალიზებული შედეგია, რომელიც მიღებულია კაპიტალის ჩადებით ახალ ტექნიკასა ან ტექნოლოგიაში, წარმოების ორგანიზაციის ახალ ფორმებში, შრომაში, მართვასა და მომსახურებაში, მათ შორის კონტროლის ახალ ფორმებში, აღრიცხვაში, დაგეგმვის მეთოდებში, ანალიზის ხარისხებში და ა. შ. ინოვაციის სხვადასხვა განსაზღვრის ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ ინოვაციის სპეციფიკურ შინაარსს შეადგენს ცვლილებები, ხოლო ინოვაციური საქმიანობის მთავარი ფუნქცია არის ცვლილებების ფუნქცია [1].

საბაზრო ურთიერთობების თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ინოვაციური საქმიანობა დაბალ დონეზეა, არ არსებობს ერთიანი ინოვაციური სახელმწიფო პოლიტიკა და არ არის შემუშავებელი მისი რეალიზაციის მეთოდები, სუსტად არის განვითარებული ინოვაციური ინფრასტრუქტურა, შეზღუდელია ინოვაციების ბაზარი და ამ პროცესების მართვის ნორმალური ეკონომიკური სტიმულირების საშუალება.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა [2:74-78] ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ორგანული შემადგენელი ნაწილია, რომელიც განსაზღვრავს ინოვაციური საქმიანობის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის მიზნებს, ძირითად მიმართულებებსა და მეთოდებს. განვითარების თანამედროვე ეტაპზე ინოვაციური პოლიტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც შეძლებს სამამულო ინტე-

ლექტუალური პოტენციალისა და თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიღწევების გამოყენებას კონკურენტუნარიანი პროდუქციის საწარმოებლად, ქვეყნის სოციალურ _ ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის. ინოვაციური პოლიტიკა მოიცავს როგორც მიმდინარე, ისე გრძელვადიანი პოლიტიკას. ინოვაციური პოლიტიკის როლი მეტად მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებული ტემპით განვითარების მნიშვნელოვან პირობას. ინოვაციური პოლიტიკა მოიცავს სამ ეტაპს: არსებულ პოტენციალურ შესაძლებლობათა ყოველმხრივი გაანალიზების საფუძველზე შემუშავებულ ქვეყნის ინოვაციური საქმიანობის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებულ კონცეფციას, ინოვაციური საქმიანობის განვითარებისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ძირითად მიმართლებათა განსაზღვრას, ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების განსახორციელებლად პრაქტიკულ სამოქმედო ღონისძიებათა დასახვას [3:65].

ინოვაციურ პოლიტიკაში გამოყოფენ ორ მხარეს: სტრატეგიულსა და ტაქტიკურს. სტრატეგიული, ჩვეულებრივ გრძელვადიან და შედარებით მრავალმასშტაბურ ამოცანებს ისახვს და გულისხმობს, როგორც ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას, ისე მეცნიერული პოტენიცალის რაციონალური გამოყენების ოპტიმალური მეთოდების შერჩევას. ტაქტიკური კი მოიცავს მნიშვნელოვანწილად ისეთი კონკრეტული ღონისძიებების შემუშავებას, რომელთაც ძალუძთ დასახული მიზნების მაღალეფექტიანი განხორციელება. ტაქტიკურ ქმედებებში იგულისხმება ინოვაციური საქმიანობის განვითარების ამოცანების რეალიზაციისათვის მიმართული ღონისძიებები: მკსსდ-თა დაფინანსება, კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციული უზრუნველყოფა, ორგანიზაციულ-სამართლებრივი პირობების შექმნა და ა. შ.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში ფინანსური რესურსები ძალზე შეზღუდულია და რა თქმა უნდა, ძნელდება, ფაქტიურად შეუძლებელი ხდება, ორიგინალური ტექნოლოგიების შემუშავება. ამიტომ თანამედროვე ეტაპზე აქცენტი უნდა გაკეთდეს არსებული ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციების მოპოვებასა და მათ გამოყენებაზე, ნაცვლად ახლის შექმნისა. ამიტომ ახალ ტექნოლოგიებზე და "ნოუ-ჰაუ"-ზე ინფორმაციის გავრცელების საკითხი დიდ მნიშვნელობას იძენს. სახელმწიფომ უნდა გაამახვილოს ყურადღება გამოყენებითი კვლევის სტიმულირებაზე, ინსტიტუტებს, უნივერსიტეტებსა და კერძო სექტორის საწარმოებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან უფრო მეტი სტიმულირება უნდა გაუკეთოს არსებული ტექნოლოგიების გამოყენებას და მათ შემდგომ განვითარებას.

ზემოთქმული სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ ყურადღების გარეშე დატოვოს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები, რომლებიც მიმართული უნდა იყოს პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების, ახალი პროდუქციის შექმ-

ნაზე. უპირატესად აუცილებელია პრიორიტეტული ინოვაციების შერჩევა, რომლებიც დიდ გავლენას მოახდენენ ეროვნული მეურნეობის განვითარების ტემპებსა და პრიორიტეტებზე. სწორედ ასეთი ინოვაციები უნდა იყოს სახელწიფოებრივი პროტექციონიზმის ობიექტი.

სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის ფინანსური მექანიზმი უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც მთელი ინოვაციური ციკლის რესურსული უზრუნველყოფის სისტემა ინოვაციების შემუშავების, სამრეწველო წარმოების და საექსპლუატაციო გამოყენების ჩათვლით, როგორც პირდაპირი ფინანსირების, ასევე არაპირდაპირი რეგულირების მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მიმართულია ინოვაციური პროცესის მონაწილე სუბიექტებში ფინანსური რესურსების აბსოლუტურ და შედარებით ეკონომიაზე. ფინანსირების რადიკალური მოდელი „წმინდა საბაზრო“ ან წმინდა საბიუჯეტო მიუღებელია, საბიუჯეტო ფინანსირებასთან ერთად გამოყენებული უნდა იქნეს სხვა წყაროები.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო დაკვეთის როლის გაზრდას, როგორც ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტისა სახელმწიფო ინოვაციურ პოლიტიკაში. მიზნობრივი სახელმწიფო ფინანსირების ობიექტებად უნდა იქცნენ სახელმწიფო ინოვაციური და სამეცნიერო ტექნიკური პროგრამები. მათ ძირითად შინაარსს შეადგენს კონკურსის წესით შერჩეული პროგრამები პრინციპულად ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის და მასალების შექმნაზე ან პრაქტიკული შედეგების მიღწევა კომპლექსური, თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევებისას. ასეთი პრაქტიკა ამლევს მას მიზნობრივ ხასიათს და ფინანსური რესურსების ეფექტიან გამოყენებას. ამ მიზნით უნდა შეიქმნას სპეციალური საბიუჯეტო ფონდი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს სახელმწიფო საინოვაციო ფონდი და იგი განკუთვნილი იქნება საკონკურსო საფუძველზე შერჩეული საინიციატივო პროგრამებისა და პროექტების რეალიზაციისათვის. ამ მხარდაჭერის ფორმები სხვადასხვაა: გრანტები მეცნიერული კვლევების ჩატარებისათვის, სუბსიდიები მატერიალურ-ტექნიკური გზით განვითარებისათვის, ახალგაზრდა ნიჭიერ მეცნიერთათვის შემწეობა.

მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება მცირე ინოვაციური ბიზნესის დამკიდრებას, რომელიც, როგორც საზღვარგარეთის გამოცდილება გვიჩვენებს, წარმოადგენს სტპ-ს დაჩქარების სერიოზულ ფაქტორს ინოვაციურ სფეროში რეალური კონკურენციის შექმნის წყალობით.

საკუთარი რესურსების მწვავე დეფიციტის პირობებში ინოვაციური საქმიანობის ფინანსირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასესხო საშუალებები, მაგრამ მისი ხვედრითი წილი ამჟამად ძალიან მცირეა. საკრედიტო საშუალებების ინოვაციური საქმიანობის ფინანსირების მეტად საინტერესო გამოცდილება არსებობს იაპონიაში. ქვეყანაში შეგნებულად, ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მიზნით ახალი ტექნოლოგიების დამუშავებაში გატარდა გადასახადების დაბალი საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკა. 1953-1998 წლებში იქ საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 1,12%-ს, რამაც დიდად შეუწყო ხელი ქვეყნის ეკონომიკის უსწრაფესი ტემპით ზრდას, რის შედეგადაც დღეს იაპონია ერთ-ერთი

ყველაზე მაღალგანვითარებული ქვეყანაა მსოფლიოში. რაც შეეხება საქართველოს, დღეს აქ არსებული საპროცენტო განაკვეთები 16-20%-ზე მეტად მაღალია და არ იძლევა ქვეყნის ეკონომიკის ნორმალურად განვითარების საშუალებას.

ინოვაციური საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საფონდო ბაზარი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში იგი წარმოადგენს ძირითად მაკროეკონომიკურ ინსტრუმენტს ეროვნული მეურნეობის მომავალი სტრუქტურის ფორმირებისათვის.

ინოვაციური საქმიანობის ეკონომიკურ რეგულირებაში სახელმწიფოს როლის გაძლიერება მჭიდროდაა დაკავშირებული ახალ საგადასახადო სისტემაზე გადასავლასთან. ინოვაციურ სფეროში საგადასახადო პოლიტიკამ ორიენტირება უნდა მისცეს ინოვაციური პროცესის მონაწილეებს იმ სამუშაოების შესრულებაზე, რომლებიც რეალიზებას უკეთებენ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტულ მიმართულებებს, ახალი თაობის ტექნიკის შექმნას, რომელიც მუშავდება სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის შესაბამისად.

სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის რეალიზებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კადრების მომზადება და გადამზადება ინოვაციური საქმიანობის ყველა ასპექტის მიხედვით. ამასთან ერთად საჭირო იქნება სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში ინოვაციური საქმიანობისათვის სპეციალიტების მომზადების სისტემის ფორმირების შემუშავება ინოვაციური პოლიტკის მიზნების საფუძველზე.

საქართველოში შრომის ბირჟა (თუ არსებობს) ვერ ასრულებს ბუნებრივი რეგულირების ფუნქციებს, არ არსებობს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ეფექტური სისტემა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ უკანასკნელ პერიოდში ქვეყნის მასშტაბით გადადგმულია პირველი ნაბიჯები, მაგრამ რეალური შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოში აუცილებელია არსებითად გააქტიურდეს ინოვაციურ სფეროში საქმიანობა, რაც უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის შემუშავებითა და რეალიზაციის მეთოდების ფორმირებით უნდა განხორიციელდეს [1]. სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკა მოითხოვს ინოვაციური საქმიანობის მართვის ადეკვატური ფორმირებისა და რეალიზაციის მეთოდების გამოყენებას. სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტკის რეალიზაციის ძირითადი მეთოდებია: ინოვაციურ სფეროში დადებითი ცვლილებების მისაღწევად ინსტიტუციური და ნორმატიულ-საკანონმდებლო პირობების ფორმირება, რომლებიც ინოვაციური მოღვაწეობის და ეკონომიკის ამ განხრით ბიზნესის ახალი პროგრესული ფორმირებით განვითარებას უზრუნველყოფს:

- სახელმწიფოს მიერ მაღალტექნოლოგიური და მეცნიერულად ტევად წარმოებებში ინვესტორების მიერ სახსრების ჩადების სტიმულირება და მხარდაჭერა, აგრეთვე სხვადასხვა ფორმის საკუთრების ორგანიზაცია შეღავათიანი გადასახადების დანერგვით, სახელმწიფო გარანტიითა და კრედიტებით.
- ყველა სუბიექტისათვის, განურჩევლად საკუთრების ფორმისა და დაფინანსების სახისა, ხელსაყრელი

ინოვაციური მოღვაწეობის პირობების შექმნის მიზნით, საგადასახადო სისტემების სრულყოფა. ახალი სამამულო პროდუქციის შექმნისა და საზღვარგარეთის ბაზრებზე ინოვაციების რეალიზაციის მიზნით, უცხოელებთან ერთობლივი პარტნიორული ორგანიზაციების ჩამოყალიბება და მათთვის სახელმწიფო საგარეო-ეკონომიკური მხარდაჭერის აღმოჩენა.

- სახელმწფოს მიერ ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საზღვარგარეთის საკრედიტო ხაზებში კვოტის უზრუნველყოფა, ახალი პროდუქციის წარმოების ასათვისებლად ნოუ-ჰაუს და მაღალეფექტური ტექნოლოგიებისათვის სახელმწიფო გარანტიებისა და ლიცენზიების გაცემა.
- პირდაპირი სახელმწიფო ინვესტიციების გამოყოფა ინოვაციური პროგრამებისა და პროექტებისათვის, რომლებსაც ექნება საერთონაციონალური ხასიათი და არა როგორც მიმზიდველი (როგორც დღეს ხდება) მხოლოდ კერძო ინვესტორებისათვის.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი საინოვაციო პოლიტიკის გატარბისათვის აუცილებელია სათანადო საკანონმდებლო ბაზის ფორმირება, რომელიც განსაზღვრავს საქმიანობას ყველა მიმართულებით. საჭიროა პირველ რიგში შემუშავდეს „სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის კონცეფცია“, მიღებული იქნეს კანონი „ინოვაციური საქმიანობის შესახებ“, შემუშავდეს ინოვაციური სტიმულირების მაკრო და მიკრო ეკონომიკური სტრატეგია და ტაქტიკა. საკანონმდებლო ბაზა უნდა ეყრდნობოდეს ფუძემდებლურ კანონებს საავტორო უფლებების, საპატენტო და ინტელექტუალურ საკუთრების შესახებ, ინოვაციების შესახებ, ანტიმონოპოლური რეგულირების, ფასებისა და ფასწარმოქმნის, მეწარმეთა და პრივატიზაციის შესახებ, საგადასახადო და საბირჟო კოდექსებს.

AKAKI GVARUTSIDZE

REALIZATION METHODS OF STATE INNOVATIVE POLITICS

S u m m a r y

Innovative is locomotive of Economics and whole society life, society progress is impossible without their results availability in practice.

According to the international standards, innovative is final result of innovative activity, which found effect by new, complete production on market.

State innovative politics is social-economical, organ part of country, which determines the aims of state management organs, main directions and methods in innovative sphere.

In order to develop the country's economy according to the existed demands it's necessary go through the development of innovative. For this, first of all it's necessary to develop State innovative politics and the methods of it's realization.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. აბრალავა. გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ. თბ., 2001.
2. А.М.Мухамедьяров. Иновационный менеджмент. М, 2004.
3. ლ. ჩიქავა. ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი 2006.